

მოსახლეობის ცხოვრების დონე და შრომის სტიმულები

განვიხილოთ ცხოვრების დონის ცნება და მისი კავშირი შრომის სტიმულებთან.

შემოსავლების პერსონალური განაწილება უთანაბრობა ნებისმიერ ქვეყანაში და იგი ცხოვრების დონეთა უთანასწორობას წარმოშობს. მაგალითად, ყველაზე მდიდარ ქვეყანაში – აშშ-ში მოსახლეობის 14% ცხოვრობს აბსოლუტურ სიღარიბეში. მოსახლეობის ზედა ფენის 5% ღებულობს ერთობლივი შემოსავლების 16%-ს, მაშინ როდესაც ყველაზე დაუცველი ფენის 20% კმაყოფილდება შემოსავლების მხოლოდ 5%-ით.

ცხოვრების დონის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელთა სისტემაში პირველი ადგილი უჭირავს მთლიანი ეროვნული პროდუქტისა (მეპ) და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებლებს. გარდა ამისა, ცხოვრების დონის განსაზღვრისათვის გამოიყენება: მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლის მოცულობა, მოხმარების დონე და სტრუქტურა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, განათლების დონე, სამედიცინო მომსახურების ხარისხი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება, საგადასახადო სისტემა და დაბეგვრა, სამომხმარებლო ფასები და ინფლაცია და ა.შ. ცხოვრების დონე გამოხატავს საზოგადოების (ქვეყნის) ფუნქციონირების თითქმის ყველა მხარეს: სოციალურს, პოლიტიკურს, ზნეობრივს, რელიგიურს, მორალურს, ფსიქოლოგიურს, ოჯახურს და ა.შ. სახელმწიფოები ერთმანეთისგან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ნიშან-თვისებებით განსხვავდებიან.

ცხოვრების დონე ცვალებადი მოვლენაა. ისტორიული პერიოდების შესაბამისად იცვლება თვით მოსახლეობის მოთხოვნილებებიც. ცხოვრების დონის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც კონტინენტები და სახელმწიფოები, ისე მოსახლეობის ფენები. გარდა ამისა, ეს დონე განისაზღვრება საზოგადოების ფუნქციონირების წესით, რომელიც უფრო მეტად საკუთრებითი ურთიერთობების შინაგანი ბუნებით ხასიათდება. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკუთრების მთავარი და მამოძრავებელი ფორმა კერძო საკუთრებაა, რომელმაც ადრინდელ ფორმებთან შედარებით სრულიად ახლებურად დასვა ცხოვრების დონის შეფასების საკითხი. სწორედ ამ უკა-

ელუარდ კავთიძე
სტუ-ს დოქტორანტი

ნასკნელზე დაყრდნობით ვამბობთ, რომ საზოგადოების თითოეული წევრის შრომითი საქმიანობის შედეგები ძირითადად ფულით განისაზღვრება; ე.ი. ფული ცხოვრების დონის საზომი ინსტრუმენტია. იგი ახლანდელი და ადრე დაგროვილი შემოსავლების სხვადასხვა რაოდენობას წარმოადგენს იმ შესაბამისობაში, რომელიც საზოგადოების ყოველი წევრის პირად განკარგულებაშია. თუმცა მოსახლეობის ერთ ცალკე აღებულ ფენაში თითოეული ადამიანის მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა მრავალფეროვანია. ცხადია, ასეთ პირობებში საშუალო სიდიდეების მიხედვით ცხოვრების დონის განსაზღვრა მიახლოებითია. მაგალითად, მოსახლეობის გარკვეული ფენების შემოსავლები მილიონი და მილიარდი დოლარით განისაზღვრება, მაგრამ გაურკვეველია, ცხოვრების როგორი დონე უნდა შეეუფარდოთ ისეთ მილიარდებს, როგორიცაა კარლოს ესლიმ ელუ, რომელიც 2010 წლის 10 მარტს გამოქვეყნებული FORBES-ის მონაცემებით, სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიას და უკან მოიტოვა ბილ გეიტსი. მისი ქონების მთლიანი ღირებულება 53,5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს და 0,5 მილიარდით აღემატება გეიტსისას. ნათელია, რომ მილიარდერების ქონების ფულადი შეფასება ნათელ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის მათი ცხოვრების დონეზე.

ესეც არის იმის მიზეზი, რომ ცხოვრების საერთო დონის განსაზღვრისათვის მოქალაქეთა ქონების ან შემოსავლების საშუალო მაჩვენებლების გათვალისწინება სრულად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც საზოგადოების ფუნქციონირების წესი კონკრეტულ მომენტში უყენებს მოსახლეობას. აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონის განსაზღვრას მხოლოდ მაშინ აქვს შედარებით სწორი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, თუ იგი დაფიქსირებულია მოსახლეობის ერთ რომელიმე ცალკე აღებულ ფენასთან მიმართებაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობის სოციალურ ფენებად დაყოფა უფრო მეტად განპირობებულია მისი შემოსავლებით, ცხოვრების დონეც შესაბამისი ფენების შემოსავლებით

განისაზღვრება. ნათელია, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს მოსახლეობის სოციალურ იერარქიაში ის ადგილი უკავია, რომელსაც მისი ინდივიდუალური შემოსავალი განაპირობებს. მაშასადამე, საზოგადოების (ქვეყნის) შიგნით მოსახლეობის ფენებად დაყოფის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ყოველი მათგანის შემოსავლის შეფარდება ოჯახის წევრთა რაოდენობასთან, რომელიც გვიჩვენებს მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა დონეს. ამიტომ, როდესაც საუბარია ზოგადი ფორმით შემოსავალზე, უფრო მეტად იგულისხმება არა ცალკეული პიროვნება, არამედ ოჯახი, როგორც მოცემული საზოგადოების ძირითადი რგოლი, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით ხდება შესაძლებელი მოსახლეობის ფენებს შორის ქონებრივი განსხვავების დაფიქსირება და ცხოვრების დონეში არსებული საფეხურების ერთიმეორესგან გამოიყვანა.

ეკონომისტები განასხვავებენ ცხოვრების დონეთა სამ სახეობას. ეს არის მინიმალური, საშუალო და ეკონომიკური კეთილდღეობის დონეები.

ცხოვრების მინიმალურ დონედ ითვლება ქონებრივი შესაძლებლობა და შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის შესაბამისი ფენის თითოეული წარმომადგენლის ფიზიკური სიცოცხლისუნარიანობასა და შრომისუნარიანობის შენარჩუნებას. ეს დონე პირდაპირ კავშირშია შემოსავლის იმ რაოდენობასთან, რომლის მოხმარება საბაზრო ფასების პირობებში უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის მიერ აუცილებელი კალორიების მიღებას.

საზოგადოებაში მოსახლეობის სოციალური იერარქიის მიხედვით ცხოვრების მინიმალურ დონეს ცვლის საშუალო დონე, რომელიც განსაზღვრულია საშუალო წლიური შემოსავლებით და ეს მაჩვენებელი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ამასთან, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს მოსახლეობის ფენა, რომელიც თავისი ინდივიდუალური შემოსავლითა და ქონებით შედარებით პრესტიჟულ მდგომარეობაშია. ასეთი ფენა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ამით განსაზღვრავს ეკონომიკური კეთილდღეობის დონესაც. ეს არის გარდამავალი რგოლი ცხოვრების ისეთი დონისკენ, როგორიცაა სიმდიდრე.

1982 წელს აშშ-ს მოსახლეობის 43,4% ცხოვრების მინიმალური დონის გარშემო ტრიალებდა (მათ შორის 16,6% სიღატაკისა და სიღარიბის საფეხურზე იყო), 35,6% იყო ცხოვრე-

ბის საშუალო დონის ფარგლებში, 10,9% კი ცხოვრების ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს განეკუთვნებოდა. აქედან გამომდინარე, ფორმალური ლოგიკის მიხედვით, აშშ-ის მოსახლეობის დანარჩენი 11,1% შეადგენდა მდიდართა ფენას, რომლის შიგნითაც ინდივიდუალური შემოსავლები განსხვავებულ სურათს ქმნიდნენ.

საქართველოში სოციალური ფენების მდგომარეობა სრულფასოვნად შესწავლილი და სტატისტიკურად დამუშავებული ჯერ კიდევ არ არის. დანამდვილებით, შესაძლებელია ითქვას მხოლოდ ის, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე მოსახლეობის ფულადი შემოსავალი განუხრელად იზრდებოდა, მაგრამ ამ ნაზრდის უდიდეს ნაწილს ფასების დონის ზრდა შთანთქავდა. უარესი მდგომარეობა იყო წინა ათწლეულში. მათ შორის, 1999 წელს მოსახლეობის ხარჯები ნომინალურ გამოხატულებაში წინა წელთან შედარებით 7,4 %-ით გაიზარდა, მაგრამ მან ვერ გადაფარა წლიური ინფლაციის ტემპი (18,8%), რის გამოც მისი რეალური მოცულობა 9,5%-ით შემცირდა.

ცხოვრების დონის მაჩვენებლად მიღებულია სამომხმარებლო კალათა, რომელშიც იგულისხმება ადამიანის ძირითადი ფიზიოლოგიური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ნაკრები. იგი წარმოადგენს ბაზას მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის, მინიმალური ხელფასის, პენსიის, დახმარების, სტიპენდიისა და ა.შ. განსაზღვრისათვის. სამომხმარებლო კალათა სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისათვის დიფერენცირებულია და დაკავშირებულია ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებთან. მასში შესული საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტი ასახავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს. რაც უფრო მრავალფეროვანია „კალათაში“ შემავალი კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის ჩამონათვალი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე.

განასხვავებენ სამომხმარებლო კალათის ორ ვარიანტს: მინიმალურ და რაციონალურ სამომხმარებლო კალათას. პირველში იგულისხმება საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომლის შემცირებაც მომხმარებელს უკვე სიღარიბისა და სიღატაკის ზღვარზე დააყენებს, ხოლო მეორეში ის მატერიალური და სულიერი დოვლათი და მომსახურება, რომელიც მოცემულ პერიოდში უზრუნველყოფს ადამიანის მოთხოვნილებათა ნორმალური დონით

დაკმაყოფილებას. იმის გამო, რომ სამომხმარებლო კალათის შეფასება პრაქტიკულად საპრეისკურანტო ფასებითა და ტარიფებით ხდება, ხელფასის დონესთან შედარებისას მასში გათვალისწინებული მოხმარების საგნები და მომსახურების ასორტიმენტი იმავე ფასებითა და ტარიფებით გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ცხოვრების დონეზე.

შრომის სტიმულების ანალიზის დროს მეტად აქტუალურია სიმდიდრისა და სიღარიბის საკითხის განხილვა. სიღარიბე შეიძლება განისაზღვროს როგორც აბსოლუტურ სიდიდეში, ისე საზოგადოების სხვა ჯგუფების შემოსავალთან შეფარდებით. აბსოლუტური სიღარიბე არის შემოსავლის ის დონე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ოჯახის მინიმალურ მოთხოვნილებას საკვებსა და სხვა სახის პირველადი მოხმარების საგნებზე; შეფარდებითი სიღარიბე არის შემოსავლის ის დონე, რომლის მიხედვითაც საზოგადოების შესაბამის ჯგუფებს შიმშილი არ ემუქრებათ, მაგრამ ისინი „ღარიბები არიან მდიდართა შორის“; სიმდიდრედ მიჩნეულია მოცემულ პერიოდში ოჯახის საკუთრებაში არსებული საშუალებების წმინდა რეალური მარაგი, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ფულით, მატერიალური და სულიერი ფასეულობით, ბუნებრივი რესურსებით და სხვა სახის მოძრავი და უძრავი ქონებით.

ნათელია, რომ შემოსავლების უთანაბრობის შემცირების მთავარი გზა, რომელსაც, როგორც ცნობილია, მდიდართა ჯიბიდან ღარიბთა ჯიბეში სახელმწიფო ბიუჯეტის გავლით თანხის გადანაწილება წარმოადგენს, უარყოფითად მოქმედებს მდიდართა მატერიალურ დაინტერესებაზე, რადგან ამით ისინი ფაქტობრივად ამცირებენ წარმოების მოცულობას და, აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, გადანაწილებელი კალათის შესაძლებლობასაც. ამგვარ გადანაწილებას განსაკუთრებით არაეფექტიანს ხდის ის, რომ მდიდართა შემოსავლების მიმართ ბევრი სახელმწიფო პროგრესულ საგადასახადო სისტემას იყენებს: რამდენადაც დიდია მდიდართა შემოსავალი, იმდენად მაღალია გადასახადის საპროცენტო განაკვეთი, რომლის ზემოქმედებაც ერთგვარად ამუხრუჭებს მათ წარმოების მოცულობის გაზრდით დაინტერესებას.

მაშასადამე, მდიდართა კალათიდან ღარიბთა კალათაში დოლარების გადატანა და მდიდართა შემოსავლების პროგრესულად მზარდი პროცენტებით დაბეგვრა უარყოფითად მოქმედებს თვით მდიდართა მიერ საბაზრო სისტემაში სწორი ორიენტაციის არჩევაზე, მათ შორის საგრძნობლად სუსტდება სარისკო ტექნოლო-

გიებში ფულადი კაპიტალის დაბანდებით დაინტერესება. მართალია, XX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის სოციალურ ფენებს შორის შედარებითი თანასწორობის დამყარების მიზნით არაერთი ღონისძიება განხორციელდა, მაგრამ ღარიბთა და ღატაკთა მდგომარეობა თითქმის უცვლელი რჩება. გადამანაწილებელი პროგრამების პრაქტიკული განხორციელება განაპირობებს არა მარტო დადებითი მოვლენების განვითარებას, არამედ ისეთი ვითარების შექმნასაც, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ცხოვრების დონის საერთო მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პროგრამების განხორციელება იწვევს ისეთ სოციალურ მოვლენებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ საერთო მდგომარეობაზე, და კერძოდ ცალკეულ პიროვნებებზე, ვინაიდან ეს ღონისძიება ანელებს შრომისადმი ინტერესს, ამასთან მოსახლეობა ინერტულად ეკიდება ინვესტიციებსა და სახსრების დაზოგვას. ჯერ კიდევ არ არსებობს ის ოპტიმალური საზომი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ ნაკლოვანებათა თავიდან აცილება, თუმცა ზოგიერთ მეცნიერის აზრით, ამ მიმართულებით დანაკარგები იმდენად მცირეა, რომ ეს პრობლემად არც უნდა მივიჩნიოთ.

თანამედროვე ეკონომიკური პროცესებიდან ნათელია, რომ ადამიანური კაპიტალის გააქტიურება შრომის მწარმოებლურობის ზრდის საწინდარია. ეს კი შესაძლებელია არა მხოლოდ უშუალოდ წარმოებაში (ფირმებში) შრომის სტიმულირების გაძლიერებით, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ძალისხმევით შედეგად ადამიანური კაპიტალის – შრომითი რესურსების – კვლავწარმოების პირობების გაუმჯობესებით, რომლის ერთ-ერთი საშუალებაა ღარიბთა და ღატაკთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხის დადებითად გადაწყვეტა. თუ ეს საკითხი არ არის სწორად გადაწყვეტილი საზოგადოების, კერძოდ სახელმწიფოს მიერ, ხდება მოსახლეობის ღარიბი ფენების შრომის სტიმულების დეფორმაცია ან დეგრადაცია, მათი უღატაკესი ნაწილი თავს ირჩენს საზოგადოებრივად უსარგებლო ან საზიანო საქმიანობით – მათხოვრობით, ნარჩენების შეგროვება-მოხმარებით (რაც ინფექციურ დაავადებათა გავრცელების წყაროა), ხოლო ბევრ შემთხვევაში – ქურდობითა და ძალადური საქმიანობით. ნათელია, რომ საქმიანობის ეს ფორმები ასევე წარმოადგენენ „შრომის“ ნაირსახეობებს და მათაც თავიანთი სტიმულები – უმთავრესად ბუნებრივი სტიმულები – გააჩნიათ.

საქართველოში სოციალური დაცვის სისტე-

მის მდგომარეობაზე წარმოდგენას გვიქმნის უპირველეს ყოვლისა ხელფასის მინიმალური დონე, რომელიც სამომხმარებლო კალათის ღირებულებასთან შედარებით თითქმის 10-ჯერ ნაკლებია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორს არის თითოეული ოჯახისათვის ცხოვრებისუნარიანობის უზრუნველყოფი ფაქტორების ამოქმედებისგან. ცხადია, ასეთ პირობებში საჭიროა თანმდევი ინსტრუმენტების ამოძრავება, მათი უფრო ეფექტიანი გამოყენება, რამაც უფრო მეტად უნდა გადაწყვიტოს დაუცველი ფენების საკვებით, ტანსაცმლითა და საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის პრობლემა. ეს საკითხი მწვავედ დადგა გასული საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ არც მოსახლეობის შემოსავლების ერთგვარმა ზრდამ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობაში, კვლავ დიდია მათხოვრობა, მაწანწალობა და სხვ. საქართველოში ჩამოყალიბდა „განწირულთა“ ფენა, რომელსაც მიეკუთვნებიან არა მხოლოდ მარჩენალს მოკლებული შრომისუუნარონი, არამედ ისინიც, ვისაც არა აქვს სამუშაოს შოვნის იმედი და არც უცხოეთში სამუშაოს საძებნელად წასვლის სახსრები.

როგორც ცნობილია, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მოქმედებასთან დაკავშირებულია სოციალურად დაუცველი ფენების დაბეგვრის მექანიზმი, რომლის ზემოქმედების შედეგადაც ყველაზე დიდ გადასახადს ღარიბები იხდიან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თუ ღარიბ-ღატაკმა მონახა სამუშაო ადგილი, რომელიც მინიმალური ხელფასის ტოლ შემოსავალს მისცემს, მაშინ ის უკვე კარგავს შეღავათს, რომელსაც სოციალური დახმარების სახით იღებდა. ეს ფაქტორივად არის გადასახადი მის მიერ მიღებული ხელფასიდან, რომლის ხვედრითი წონა ბევრად აღემატება დაბეგვრას.

ნათელია, რომ დახმარება – დაბეგვრის ასეთი სისტემა ამცირებს შრომის სტიმულს, ახშობს სოციალურად დაუცველ ფენებს შორის სამუშაოს მიღების სურვილს და ხელს უწყობს მათი სოციალური მდგომარეობის უცვლელობას. ამიტომ ამბობენ, რომ სოციალური უზრუნველყოფისა და დაბეგვრის სისტემათა ურთიერთქმედების სპეციფიკა სიღარიბესა და სიღატაკეს კანონზომიერად ხდის და წარმოგვიდგენს ისეთ ციკლად, რომლიდან გამოსვლაც თითქმის შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ. ეკონომიკის (ძირითადი შინაარსი), თბ., 1992, გვ.131.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2000, გვ. 32.
3. ლ. ჩიქვა, ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ. 1197, გვ. 438.
4. გ. ადუიშვილი, რ. ასათიანი, ეკონომიკური თეორია. თბ, 1998, გვ.459
5. П. Хейне. Экономический образ мышления, М.,1991, стр.127.

STANDARD OF LIVING OF THE POPULATION AND LABOR INCENTIVES

EDUARD KAVTIDZE - PhD of GTU

The level of life at certain step of the development of the society in given countries reflects the level of consumption of per soul of the population.

For the defining of the level of life are used: the size of real income on per soul of population, the level of consumption and structure, duration of life, employment of the population, tax system and rating. Consumer prices, inflation and etc.

In the market economy the private property as the main form of the privacy has completely changed evaluation of the level of life in comparison with the former forms.

On the basis of the above mentioned the results of the labour activity of every member is mainly defined by money; so money is the measuring instrument of the level of life.